25/1-61.
1919.

მუშათა გაერთიანებისაკენ — მუშათა ხალხისაკენ

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ფასი 1 მან. 50 კ.

№37 კვირა 3 მარტიამდობისთვე 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ კვირაში ერთხელ კვირაობით

დედა-ქალაქი მარტიამოზისიეის 3

სამწუხარო ცნობა

დღეს, ვფიქრობთ, აღარავისთვის საეჭვო აღარ უნდა იყოს ის ფარული განზრახვა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ვერსალის დიპლომატები, როდესაც ახალ საერთაშორისო დამოკიდებულებათ უყრიან საძირკველს. ეს არის მათი დაუძლეველი სურვილი ერთის მხრივ სასიკეთილო ლახვარი ჩასცენ დამარცხებულ სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ მეშჩანურ ქურაში გამოჭკლინ და გამოგუდონ საერთაშორისო ომის ცეცხლიდან წარმოშობილი დიდი რევოლიუციური მოძრაობანი. „დალილის, დაქანცულს, ომით განაწამებ კაცობრიობას სათნოება და სიყვარული სწადია?

ამა რას დაეძებენ ამას ბურჟუაზიის ბოროტი სულები!

მათი მიზანია ამ შემთხვევაშიც გააძლიერონ და გაავითაროს წყარო თავისი ბატონობისა, საფუძველი ოჯახის შეუფებისა. სისხლით დაწრეტილი და შიმშილით წამებული კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ახალ განწყობილებათა და დამოკიდებულებათა დამყარებას ესწრაფვის? ამის წინააღმდეგია მთელის არსებით ადამიანთა ის უაჩალური ნაწილი, რომელსაც ხელთ უგდია ამა ქვეყნის სიმდიდრე და რომელიც საშინელ რისხვად გახდომია შრომის მატარებელთ, და ფულით, ცოდნით, გამოცდილებით და შეიარაღებული ძალებით აღჭურვილი საერთაშორისო ბურჟუაზია გაიძულებულად ჭქმნის ასეთ პირობებს, რომელშიაც ჩვენდა საკუთაროდ [illegible] ნიადაგი საერთაშორისო [illegible] ომის [illegible] გერმანიის [illegible] მოძრაობას გამარჯვებულთა პირობებმა სული სხვა გზა [illegible] და მიმართულება მისცეს. [illegible] 19 ე საუკუნის [illegible] დაძაბულითებელი [illegible] სხვათაშორის ეროვნული [illegible] ყო, თითქოს ამ მხრივ [illegible] ერამ [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერც ვსვდავთ, ამიტომ მთელი ჩვენი ცხოვრების მოღვაწეობა და საქმიანობა ორკოფულია, ქანაობაშია და იანუსივით ხან ცალი ყბით იღრიჭება და ხან მეორე ყბით, არ იცი კი არც ერთ შემთხვევაში, რომელი გადამწყვეტისა და ძირითადი სულისსწრაფვის ბეჭედი აზის მის შუბლს, ანუ სახის გამომეტყველებას.

ტიბერიელი.

(დასასრული იქნება)

მუშათა ორგანო.

იმ მრავალ მუშათა კლასის ბრძოლის საშვალებათა შორის ღირსშესანიშნავ როლს თამაშობს მუშათა პრესა: ჟურნალი და გაზეთი. მუშათა გაზეთი—ეს ყოველდღიური მესაიდუმლეა მუშათა კლასის. ის სულიერი წყაროა პროლეტარიატის კლასობრივ მოძრაობისა. მუშათა ორგანო ერთი მნათობია, რომელიც ბნელ გზას უნათებს პროლეტარიატს, ზრდის მის შემეცნებას, შეგნებას.

მუშათა გაზეთი—ეს ის საყვირია, რომელიც მოუწოდებს ინტერნაციონალურ პროლეტარიატს შესაკავშირებლად, შესაერთებლად, სალაშქროდ, საბრძოლველად, საომრად საერთო მტრის სახელმწიფოს და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მუშათა გაზეთი—ეს პროლეტარიატის სოციალისტური ტრიბუნაა, რომლის გარშემო თავს იყრის მუდამ ტანჯული მაშვრალი, მშრომელი, პროლეტარი, მუშა და ბოგანო გლეხი. მუშათა გაზეთი—ეს ის გრდემლია, სადაც იქედება ბედიღბალი პროლეტარიატისა და საზოგადოდ მთელი კაცობრიობისა—პროლეტარული კომუნისტური ტრიბუნაა, რომელსაც ჩამოკრავს რა უკანასკნელად სიტყვას საქმედ აქცევს და რევოლიუციის ცეცხლის ალს მისცემს თანამედროვე ბატონთა და დესპოტთა ოქროს ახტს.

დიდია მნიშვნელობა გაზეთისა, ოდეს მას აქვს იარაღი მაშვრალისა, ხელთ უპყრია წმინდა დროშა პროლეტარისა, მცნება და რევოლიუციონური სული ბაკუნინისა. ასეთია ჩვენში პატარა გრდემლი—„ახალი ნაკადი“, რომელზედაც დაუღალავად სჭედენ ახალ პროლეტარულ მოძრაობას რევოლიუციონური უმცირესობა მუშათა კლასისა.

დეე ყოველივე მუშამ შეიგნოს ესა, რომ ახალი მუშათა მოძრაობა—სინდიკალიზმი, ეს იგივე მისი შეგნებული შეკავშირებული მოძრაობა, ეს მისი თვალის ახელაა, ყურთა სმენაა, ცხოვრების საიდუმლოების გაგებაა.

დეე ყველა გულწრფელმა მუშამ, რომელთაც უყვართა თავისი მუშური მოძრაობა—სინდიკალიზმი, მისი მომავალი—თავისუფალი კომუნიზმი ნუ დაიშურებს თავის ცოტა წვლილს და მუშათა ორგანოს „ახალ ნაკადს“ მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს.

იანეთელი პროლეტარი.

გორლტ-მოკმედება.

შაბათს, 26 ივლისს, დილის 8 საათზე ტრამვაის პარკის პირდაპირ **ვახნიანსკის** ქარხნის კარებთან ველოდი ტრამვაის გამოსვლას. ამ დროს ვიღაც უცნობმა კაცმა ჩამოიარა ზევიდან აკიდებულ ტომარაში რალაც მძიმე ტვირთით, და შევიდა ვახნიანსკის ქარხანაში, მე რაღაც ეჭვი შემეპარა ამ უცნობ კაცზე და დაუწყე თვალყურის დევნა, უცნობმა ტომარა ეზოში დასცალა და ცოტა ქარხნის პატრონთან ლაპარაკის შემდეგ, გამოვიდა და ვაგზლისკენ გაემართა. არ გადაუდგია ოცი ნაბიჯი, რომ მას შეხვდა მეორე კაცი რომელსაც ტომარაში რაღაც მოჰქონდა. პირველმა უჩვენა მეორეს ის ადგილი, სადაც უნდა შეეტანა. მეორეც შევიდა და ნაჩვენებ ადგილას ტომარა დასცალა და გამოვიდა. ამან ჩემი ეჭვები უფრო გააძლიერა და ამაღელვა, მივსდიე უკან ამ ვაჟბატონებს და რომ მიუახლოვდი პარკს, დავინახე რომ დუქნის წინ იდგნენ ტრამვაის კანდუქტორები და ლაპარაკობდნენ, მე მივმართე ერთ ჩემს ნაცნობს კანდუქტორს ამხანაგ გიორგი სულთანიშვილს და ვთხოვე რომ თუ არიან აქ გვარდიელები დამხმარებოდენ ბოროტ-მომქმედთა შეპყრობაში. ის გაქანდა და მომიყვანა ტრამვაის გვარდიელი, ამხანაგი მეგრელიშვილი, მივმართე აგრეთვე იქვე მდგარ მესამე კომისარიატის კომისარის თანაშემწეს თავბერიძეს, რომლების დახმარებით **უცნ**ობნი შეპყრობილნი იქმნენ. სანამ ჩვენ ამ ორ ვაჟბატონებს დავიჭერდით და მოვიყვანდით, ქარაანაში მოსულიყო მესამე მათი ამხანაგი, რომელსაც აგრეთვე მოეტანა ნაქურდალი საქონელი.

დავაკავეთ მესამეც და ქურდები აღმოჩნდნენ სანდრო ზავარიანცი, ნიკოლოზ სიმონიანცი და ილიკო რაზმაძე, ნაქურდალი კი რკინის გზის ვაგონების საჩერის კუნძები ხუთი ცალი: ოთხი სრულიად ახალი, ხოლო ერთი ნახმარი, როდესაც ვახნიანსკის ქარხნის გამგეს მივმართეთ [illegible] ქარ[illegible] ნაქურდალ სახელმწიფო ქონებას, მექარხნის გასამდიდრებლად. მან ირონიით გვიპასუხა, რომ მე არ ვიცი თუ ვინ შემოუშვა ეზოში ესენიო და არც ის ვიცი ვინ არიან ესენიო, ხოლო როგორც მე შეეკითხნიე თვით ამ ვაჟბატონმა უჩვენა ქურდებს ადგილი, სადაც უნდა დაეწყოთ მოტანილი ნივთები.

ეს მოვლენა მით უფრო საეჭვო [illegible] ოა და მავნებელი, რომ როგ[illegible] თვით ქურდები გამოტყდნენ მათგან რკინის გზაზე რკინეულობის ქურდობა და ვახნიანსკებთან გასაღება მათ ჩვეულებრივ ხელობათ გარდაქცევიათ და ვგონებ, რომ ვახნიანსკები და მათი კლიენტებისებური პირები არა ერთნი არიან და არა ორნი [illegible] და თუ ამას სათანა[illegible] [illegible] არ მიექცა დროზე, [illegible] ლება სხვადასხვა რკინის გ[illegible] ალათა მთავარ „პოსტავჩიკებათ ისინი გახდნენ.

ბოლოს მადლობას უცხადებ ჩემის მხრით ტრამვაის კონდუქტორ გიორგი სულთანიშვილს, გვარდიელ მეგრელიშვილს დახმარებისთვის და მესამე კომისარიატის კომისრის თანაშემწეს თავბერიძეს დროზე ზომების მიღებისთვის.

ბორია ლითანიშვილი.

პროვინცია.

სოფ. ღვანკითი. არ იქნა და არა, საწყალ ხალხს არ ეშველა: ჯერ საზოგადოთ და მერე-კი აქეთკენ უიმედობამ მოიცო ისედაც ილაჯ გაწყვეტილი ხალხი მოსავლის მხრივ. გამუდმებული წვიმების მეოხებით თითქოს რო „ყველაფერი გაოხრდა, გაფუჭდა, მაგრამ ყველაზე უფრო ზედმეტი უბედურება ეწია ვენახს. როგორც დანამდვილებით ამბობენ, მომავალს წელში უფრო ძვირი იქნება ღვინო—ვიდრე წელს!?

ძველი დროის რაინდები ისევ გამოძვრენ სოროებიდან და კვლავ შეუდგენ ხალხის ფცქვნას. ამგვარ საქმეებს ჩადიან სულიერი მამები; მაგრამ ყველას წააჭარბებს ჩვენი სოფლის ის-რე კ-ჭი, რომელიც თან ატარებს ჭურჭელს და ყოველგვარ სანოვაგეს ითხოვს. იმას არ უწევს ანგარიშს, რომ შეუძლია თუ არა მასპინძელს ამ ცოდვა-მადლის განკითხვის დროს?!

მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგს: გარდაცვალებულის ჭირისუფალმა ბ. გა-ილმა მოიწვია ჩვეულებისამებრ სულის საქმეზე ხორავის და სხვის დასაკურთხებლად. მაშინ, როცა თავისი შეასრულა, შუა გაჰყო ყველაფერი და ხურჯინის თვალები აღმოავსო და შინ წაგზავნა. აქ აღნიშნულ პირს კიდევ შეუძლიან, მაგრამ რა ჰქნას იმან, ვისაც კვახის ნატეხარი არ მოეძევა?!

ქურდ-ბაკაცები აღარ სცხრებიან და თავის სამარცხვინო ხელობას განაგრძობენ. იშვიათია ისეთი ღამე, რომ არავინ ააცრემლონ; მაგრამ სანამდის? რაიცა შეეხება სოფლის ექიმ-ბაშებს, აღარ იკითხება! ნაკლებ დღეს არც ისინი აყენებენ საცოდავ ხალხს; მაგრამ სადაა პატრონი? ვინ იფიქრებდა თუ ისინი ამდენ ხანს შერჩებოდენ და მათ სამარცხვინო [illegible] ბოძზე არ გააკრავდენ?

„ის-ის ნ-ული“.

[illegible]

ჩ[illegible] [illegible]ევანდელი ნომერი ნახევარი გა[illegible]ს ტექნიკურ დაბრკოლების გა[illegible].

კვირას, საღამოს 7 საათზე, „ახალი ნაკადის“ რედაქციაში დანიშნულია კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა. ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაი[illegible]ენ.

[illegible]ლიდან გამოვა ახალი საორშა[illegible] მუშათა გაზეთი რუსულად და [illegible]ულად „მუშათა გზა“.

საჭიროა ჩვენმა მთავრობამ მეტი სიფხიზლე და ყურადღება მიაქციოს კონტრ-რევოლიუციონერების მუშაობას ტფილისში, როგორც ხმებია სხვადასხვა ქალაქის უბნებში არსებობს ჩუმი ორგანიზაციები დენიკინელების, რომლის მიზანია აგიტაციის საშუალებით და პროპაგანდით გააკეთოს ის და განაახლოს რაც მათ შავ მაზანს შეადგენს.

ჟურნალ-გზეთებიდან

ჰელსინგფორსიდან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ტაიმს“, რომ დაპატიმრებულებს პეტერბურგის ციხეებიდან ჰგზავნიან მოსკოვში. პეტრე-პავლეს ციხეზე დადგმულია 12, 13 და 24 დიუმიანი ზარბაზნები და ოთხი ბატარეა, უკეთუ ბოლშევიკები იძულებულნი იქნებიან, დასტოვონ ქალაქი, მაშინ ბოლშევიკები პეტერბურგს დაანგრევენ.

ხუთთა საბჭო ჯერ კიდევ ცდილობს გამოძებნოს საშუალება რუსეთში და ჰუნგრეთში ბოლშევიზმის [illegible]ობად. უკანასკნელ ხანს ჰუნგოეთში მათ ყურადღებას იქცევს ჰუნგრეთის გამოჩენილი მხედარი. გენ. ბემი, რომელიც ბუდაპეშტში საბჭოთა მთავრობას წითელი ჯარის შედგენაში ეხმარებოდა. მაგრამ შემდეგ გადააყენეს ნაკლებ რადიკალობისთვის, მოკავშირეები რომ მას დახმარებოდნენ, გენ. ბემი ბელაკუნის კონტრ-რევოლიუციის შექმნას შესძლებდა. ჯარის უმეტესობა მას საუკეთესო სტრატეგად სთვლის და მზადაა მის დროშის ქვეშ იბრძოლოს. საზავო კონფერენციის მაერ მიღებულ კერძო ცნობით, გენ. ბემი ზომიერ ბოლშევიზმს ჰქადაგებს, რაც მას იმდენადვე მოსათმენათ ხდის მოკავშირეთათვის რამდენადაც კოლჩაკია. ყველაზე მეტად ის საჭიროებს ფულს, ამუნუციას და იარაღს, რაც უნგრეთში ამ ჟასად ერთიანად ბელაკუნის ხელშია. გენ. ბემს გავლენა აქვს გლეხებში, რომელნიც ბუდაპეშტის მმართველებს თან და თან ეთიშებიან.

რუსეთის შესახებ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი მზადდება ბოლოკადა არის იმ ს ნიშნები, რომ შუა ზღვაში გემებს გასჩხრეკენ, რადგან ეჭვი დაიბადა, რომ ვაჭრებს საბჭოთა რუსეთისთვის საქონელი მიაქვთ.

„ფორეერტსი“ ბელგიის სოციალისტებზე სწერს: „უნდა გავიგოთ მათი შეურაცხყოფის გრძნობა, მაგრამ მათ არ უნდა ეხელმძღვანელათ ამ გრძნობით პოლიტიკაში: რადგან ეს ან კატასტროფას და ან დაცინვას გამოიწვევდა.

ბოლშევიკური ცნობები.

ლიონი. ივლისის 31 (ამერიკის რადიო). რუმინელები დაეინებით მოითხოვენ უნგრეთის წინააღმდეგ შეთანხმებას და მის საზღვრებში შეკრას, რაც სახაო კონფერენციას არ ჰსურს: ამერიკის წრეებში უნგრეთის ხალხისადმი მიმართულ ნოტის სერიოზულებაში ეჭვი შეაქვთ. საფრანგეთის პრესა განაგრძობს საბა[illegible]ო კონფერენციის კრიტიკას და უნგრეთში ჯარის გაგზავნას მოითხოვს: ყველა გაზეთები მიშობენ, რომ შესაძლებელია რუსეთის და უნგრეთის ჯარები გაერთიანდნენ, რაც მოკავშირე ქვეყნებისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ნაუენი ივლისის 30. გერმანიის ნახშირის განაწილების შესახებ იუწყებიან, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნება რკინის გზა, შემდეგ გემები, რომლებიც სურსათის საზიდავათ არის დანიშნული, და ის ქარხნები, რომლებიც საკვებ საგნებს ამზადებენ. უკანასკნელ რიგში სამრეწველოების საჭიროებას დაკმაყოფილებენ. ეხლანდელ მდგომარეობაში გერმანიაში სამრეწველოების თვის საჭირო იქნება 34 მილიონი ტონი ნახშირი, იმავ დროს მის წილად მხოლოდ 10 მილიონი შეიძლება იქნეს გადადებული. თუ მრეწველობა დაკმაყოფილებული არ იქნა მის ნამდვილ მოთხოვნილებებით, მაშინ შემოდგომაზე მილიონ უმუშევრებს და მოსამსახურეებს უნდა მოველოდეთ.

საძხრეთის ფრონტი. ბარკოვმ მიმართულებით ჩვენ სად. კირიკოვკა ავიღეთ- ქამიშინის სრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

აღმოსავლეთის ფრონტი. ცარიცინის რაიონში ვოლგას მარცხენა მხარეზე ჩვეს ახტუბა და ვლადიმიროვკა ავიღეთ. ჩელიაბინსკის ჩრდილოეთით ჩვენ 20 ვერსით წინ წავიწიეთ. ქამიშილოვის ჩრდილოეთით ჩვენ სოფლები ავიღეთ. ჩვენ ტურინსკი დავიჭირეთ!

ნაუენი, ივლისის 31. სერბიის ბეჭდვითი ბიუროს ცნობით ხორვატიის ჯარის აჯანყება ძართალი გამოდგა. ბელგრადიდან იუწყებიან, ლომბლანკზე საფრანგეთის ჯარის გავლის დროს ბულგარეთის ჯარმა მათ სროლა აუტეხა: მძიმეთ დაიჭრა 9 ფრანგი და 20 ჯარისკაცი.

კიევი. ივლისის 30. იტალიის პრესის ცნობითა კოლჩაკის აღიარების საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. პრესაში გამოქვეყნებული ცნობები კოლჩაკის აღიარების შესახებ ნაადრევია, ოთხთა საბჭომ გადასწყიტა მას მხოლოდ სამხედრო დახმარება გაუწიოს.

ლიონი. ივლისის 30. საფრანგეთის ფლოტის დემობილიზაციის გამო, გალაცში, კონსტანცაში და კორფუზე გააუქმეს საფრანგეთის საზღვაო ბაზები, გააუქმეს აგრეთვე მესინაში საფრანგეთის საზღვაო არმია.

ლიონი. ივლისის 30. ევროპას მოელის ნახშირის კრიზისი, რომელ[illegible]

კიევი. ივლისის 30. საბერძნეთი ჯარს, რომელიც სმირნას დასაჭერად გაიგზავნა, ოსმალეთის ჯარი შეხვდა: ევნიზელოსმა ინგლისსა და საფრანგეთს მიმართა სამხედრო დახმარებისათვის, მაგრამ უარი მიიღო რადგან მოკავშირეებმა ნება დართეს „ბერძნებს დაეჭირათ სმირნა, მას შემდეგ რაც არა ერთხელ არს წმუნებდა მოკავშირეებს, რომ ბერძნეთის ჯარს „ოსმალთა ჯარი აუფრთოვანეთ შეხვდებაო.

ჩვენს ამხანაგებს

ვინ არ იცის, რომ დღეს ბეჭდვითი საქმე მეტად გართულდა და შეუძლებელი ხდება მისი გაგრძელება სალსში, ამიტომ ჩვენი რედაქცია კიდევ მოიგონებს მუშა ამხანაგებს, რომ შემლების დაგვარათ [illegible] [illegible] [illegible]